- ამ მოწყობილობის გამოყენება შეუძლიათ ბავშვებს 8 წლის ასაკიდან და შეზღუდული ფიზიკური, გრძნობითი ან მენტალური შესაძლებლობის მქონე ან გამოუცდელ პიროვნებებს, თუ მათ მიეცემათ მითითებები მოწყობილობის გამოყენებასთან დაკავშრებით უსაფრთხო გზით და გაიაზრებენ დაკავშირებულ საფრთხეებს. 8 წლამდე ასაკის ბავშვები და მნიშვნელოვნად უნარშეზღუდული პირები უნდა მოერიდონ მოწყობილობასთან სიახლოვეს ან გამუდმებული მეთვალყურეობის ქვეშ იყვნენ.
- არ მისცეთ ბავშვებს მოწყობილობასთან თამაშის უფლება.
- იქონიეთ შეფუთვა ბავშვებისგან მოშორებით და განკარგეთ იგი სათანადოდ.
- იქონიეთ სარეცხი საშუალება ბავშვებისგან მოშორებით.
- მოაშორეთ ბავშვები და შინაური ცხოველები მოწყობილობას, როცა კარი ღიაა.

- თუ მოწყობილობას გააჩნია ბავშვების უსაფრთხოების აპარატი, იგი უნდა ჩაირთოს.
- ბავშვებმა არ უნდა დაასუფთაონ და მოიხმარონ მოწყობილობა უფროსების ზედამხედველობის გარეშე.

1.2 ზოგადი უსაფრთხოება

- აღნიშნული მოწყობილობა გათვლილია მხოლოდ საოჯახო მოხმარების, მანქანაში გასაშრობი სარეცხის გასაშრობად.
- თუ სარეცხი დაბინძურებულია სამრეწველო ქიმიური ნივთიერებებით არ გამოიყენოთ საშრობის ფუნქცია.
- ეს მოწყობილობა განკუთვნილია ერთი ოჯახის მიერ შინ გამოსაყენებლად დახურულ სივრცეში.
- ეს მოწყობილობა შეიძლება გამოიყენებოდეს ოფისებში, სასტუმროს ნომრებში, B&B-ს ნომრებში, საოჯახო ფერმის ტიპის სასტუმროებსა და სხვა მსგავს საცხოვრებლებში, სადაც ასეთი გამოყენება არ სცდება (საშუალო) საყოფაცხოვრებო მოხმარების დონეებს.
- არ შეცვალოთ ამ მოწყობილობის სპეციფიკაცია.
- თუ საშრობი იდგმება სარეცხი მანქანის თავზე, გამოიყენეთ დასაწყობი ნაკრები. დასაწყობი ნაკრების შეძენა შეგიძლიათ თქვენს ავტორიზებულ გამყიდველთან, მოწოდებულ ინსტრუქციებში მითითებული მოწყობილობის შემთხვევაში, მისი გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ აქსესუარებთან ერთად. ინსტალაციამდე, ყურადღებით წაიკითხეთ ის (გაეცანით კომპლექტის მომხმარებლის სახელმძღვანელოს).
- მოწყობილობა შეიძლება დამონტაჟდეს, როგორც ავტონომიური ერთეული ან სამზარეულოს დახლის ქვეშ, რისთვისაც გამოყოფილი უნდა იქნას სათანადო ზომის სივრცე (გაეცანით ინსტალაციის ბუკლეტს).
- არ დააყენოთ მოწყობილობა ჩაკეტვადი, სასრიალო ან ისეთი კარის უკან, რომელსაც საწინააღმდეგო მხარეს აქვს დამჭერი, რაც ხელს შეუშლის მოწყობილობის კარის მთლიანად გაღებას.

- დარწმუნდით, რომ მოწყობილობასა და იატაკს შორის არის საჰაერო ცირკულაცია. სავენტილაციო ღიობი არ უნდა იყოს დაფარული ხალიჩით, ნოხით ან ნებისმიერი იატაკის საფარით.
- გაფრთხილება: მოწყობილობას დენი არ უნდა მიეწოდებოდეს გარე გადართვის მექანიზმით, როგორიც არის ტაიმერი, ან არ უნდა იყოს დაკავშირებული სქემაზე, რომელიც რეგულარულად ირთვება ან ითიშება კომუნალური მოხმარების მიერ.
- შტეფსელი როზეტთან შეაერთეთ მხოლოდ დამონტაჟების ბოლოს. დარწმუნდით, რომ როზეტი ხელმისაწვდომია დაყენების შემდეგ.
- გაფრთხილება: ნუ დაამონტაჟებთ მოწყობილობას ისეთ გარემოში, სადაც არ არის ჰაერის მოძრაობა. მოწყობილობა შეიცავს აალებად აირ პროპანს (R290), რომელიც გარემოსთან უმაღლესი თავსებადობის დონის მქონე ბუნებრივი აირია. მოაცილეთ მოწყობილობას ხანძრის და აალების წყაროები. გამოიჩინეთ სიფრთხილე, რათა არა დააზიანოთ პროპანის შემცველი მაგრილებელი წრედი.
- გაფრთხილება: თუ მოწყობილობა დახურულ სივრცეში ან ჩაშენებულ სტრუქტურაშია, სავენტილაციო ღიობები გქონდეთ ღია ისე, რომ ისინი არ იყოს დახშული.
- გაფრთხილება: არ დააზიანოთ მაგრილებელი წრედი.
- გაფრთხილება: არ შეეხოთ კონდენსატორის მეტალის ფრთებს შიშველი ხელით. დაზიანების რისკი. გაიკეთეთ დამცავი ხელთათმანები.
- თუ დენის სადენი დაზიანებულია, მისი შეცვლა უნდა მოხდეს მწარმოებლის, მისი ავტორიზებული სერვის ცენტრის ან მსგავსი კვალიფიკაციის პიროვნების მიერ, რათა თავიდან იქნას აცილებული ელექტრობასთან დაკავშირებული საფრთხე.
- ნუ გადააჭარბებთ მაქსიმალურ 8 კილოგრამ დატვირთვას.

- გადაყარეთ ნაგავი ან შეფუთვის ნარჩენები, რომლებიც მოწყობილობის ირგვლივ დაგროვდა.
- არ ამუშაოთ მოწყობილობა ფილტრის გარეშე. გაასუფთავეთ ბეწვის ფილტრი ყოველი გამოყენების შემდეგ.
- არ გააშროთ გაურეცხავი სარეცხი საშრობში.
- ნივთები, რომლები დაბინძურებულია ისეთი ნივთიერებებით, როგორიცაა ზეთი, აცეტონი, სპირტი, ბენზინი, ნავთი, ლაქების ამომყვანი, სკიპიდარი, ცვილი ან ცვილის ამომყვანი, უნდა გაირეცხოს ცხელ წყალში დიდი რაოდენობით სარეცხი საშუალებით, სანამ სარეცხის საშრობში გაშრება.
- ისეთი საგნები, როგორიცაა რეზინის ღრუბელი (ლატექსის ღრუბელი), აბაზანის ქუდები, წყალგამძლე ქსოვილები, რეზინის სამაგრიანი საგნები ან ტანსაცმელი ან ღრუბლიანი ბალიშები, არ უნდა იქნას გამშრალი სარეცხის საშრობში.
- დარწმუნდით, რომ სარეცხი არ არის გაჭედლი მოწყობილობის კარსა და რეზინის შუასადებს შორის.
- ქსოვილის დამარბილებელი ან მსგავსი პროდუქტები გამოყენებული უნდა იქნას მხოლოდ მწარმოებლის მიერ მოწოდებული მითითებების მიხედვით.
- მოაშორეთ ყველა საგანი, რომლებიც შეიძლება გახდეს ხანძრის მიზეზი, როგორიცაა სანთებელები ან ასანთები.
- გაფრთხილება: არასოდეს შეაჩეროთ სარეცხის საშრობი შრობის ციკლის დასრულებამდე, წინააღმდეგ შემთხვევაში ყველა საგანი უნდა იქნას სწრაფად ამოღებული და გაშლილი სწრაფად გასაგრილებლად.
- ნებისმიერი მოვლის ოპერაციამდე, გათშეთ მოწყობილობა და გამორთეთ შტეფსელი როზეტიდან.

2. უსაფრთხოების ინსტრუქციები

2.1 მონტაჟი

გაფრთხილება: ხანძრის / აალებადი მასალების რისკი.

- მოხსენით ყველა შეფუთვა.
- არ დაამონტაჟოთ და არ გამოიყენოთ დაზიანებული მოწყობილობა.
- მიჰყევით დამონტაჟების ინსტრუქციებს, რომელიც მოწყობილობას მოჰყვა.
- ნუ დაამონტაჟებთ მოწყობილობას ისეთ გარემოში, სადაც არ არის ჰაერის მოძრაობა.
  მოწყობილობა შეიცავს აალებად აირ პროპანს (R290), რომელიც გარემოსთან უმაღლესი თავსებადობის დონის მქონე ბუნებრივი აირია. მოაცილეთ მოწყობილობას ხანძრის და აალების წყაროები. გამოიჩინეთ სიფრთხილე, რათა არა დააზიანოთ პროპანის შემცველი მაგრილებელი წრედი.
- ყოველთვის იყავით ფრთხილად მოწყობილობის გადატანისას, რადგან მძიმეა. ყოველთვის გამოიყენეთ დამცავი ხელთათმანები და თანდართული ფეხსაცმელი.
- არ დაამონტაჟოთ და გამოიყენოთ მოწყობილობა იქ, სადაც ტემპერატურა შეიძლება იყოს 5°C-ზე დაბალი ან 35°C-ზე მაღალი.
- იატაკი, რომელზეც მოწყობილობა უნდა დადგეს უნდა იყოს სწორი, მყარი, თბოგამძლე და სუფთა.
- როცა გადაგაქვთ, ყოველთვის გქონდეთ მოწყობილობა ვერტიკალურ მდგომარეობაში.
- მუდმივ ადგილზე დადგმისას, თარაზოს საშუალებით დარწმუნდით, რომ სწორად არის გასწორებული. წინააღმდეგ შემთხვევაში გაასწორეთ ფეხები შესაბამისად.

2.2 ელექტრო კავშირი

⚠ **გარფთხილება!**

ხანძრისა და დენის დარტყმის რისკი.

- შტეფსელი როზეტთან დააკავშირეთ მხოლოდ მონტაჟის ბოლოს.
  დარწმუნდით, რომ როზეტთან წვდომა არის დამონტაჟების შემდეგ.
- გაფრთხილება: აღნიშნული მოწყობილობა შექმნილია რათა დამონტაჟდეს / დაუკავშირდეს შენობის დამიწების კავშირებს.
- დარწმუნდით, რომ სპეციფიკაციის იარლიყზე მითითებული პარამეტრები თავსებადია ძირითადი დენის წყაროს ელექტრო სპეციფიკაციებთან.
- ყოველთვის გამოიყენეთ სწორად დაყენებული დარტყმაგამძლე ბუდე.
- არ გამოიყენოთ მარავალშესაერთებლიანი გადამყვანები და დამაგრძელებლები.
- არ მოქაჩოთ კაბელს მოწყობილობის გამოსართავად. ყოველთვის გამოსწიეთ შტეფსელი.
- არ შეეხოთ სადენსა და როზეტს სველი ხელებით.

2.3 გამოყენება

⚠ **გარფთხილება!**

დაზიანების, დენის დარტყმის, ხანძრის, დაწვის ან მოწყობილობის გაფუჭების რისკი.

- ეს მოწყობილობა მხოლოდ საყოფაცხოვრებო (საოჯახო) გამოყენებისთვისაა.
- არ გააშროთ დაზიანებული (დახეული, გაწყვეტილი) საგნები რომელებიც ამოვსებულია რაიმეთი.
- თუ სარეცხი გარეცხილი იქნა ლაქების ამომყვანით, გაშრობის ციკლის დაწყებამდე ჩართეთ დამატებითი გავლების ციკლი.
- გააშრეთ მხოლოდ ის ქსოვილები, რომელთა გაშრობაც რეკომენდებულია მოწყობილობაში. მიჰყევით იარლიყზე მოცემულ დასუფთავების ინსტრუქციას.
- არ დალიოთ და არ მოამზადოთ საკვები კონდენსირებული/დისტილირებული წყლით. ამან შეიძლება გამოიწვიოს ადამიანების და შინაური ცხოველების ჯანმრთელობის პრობლემები.
- არ დადგეთ და არ დაჯდეთ მოწყობილობის ღია კარში.

- არ გააშროთ მწვეთავი სველი ტანსაცმელი მოწყობილობაში.

2.4 მოვლა და დასუფთავება

⚠ **გარფთხილება!**

დაზიანებისა ან მოწყობილობის გაფუჭების რისკი.

- არ გამოიყენოთ წყლის სპრეი და ორთქლი მოწყობილობის გასაწმენდად.
- გაწმინდეთ მოწყობილობა რბილი სველი ტილოთი. გამოიყენეთ მხოლოდ ნეიტრალური სარეცხი საშუალება. არ გამოიყენოთ აბრაზიული პროდუქტები, აბრაზიული საწმენდი ბალიშები, გამხსნელები ან რკინის ნივთები.
- მოწყობილობის გაწმენდისას, გამაგრილებელი სისტემის დაზიანების თავიდან ასაცილებლად გამოიჩინეთ სიფრთხილე.
- დაზიანების თავიდან ასაცილებლად, არ შეეხოთ კონდენსატორის მეტალის ფარფლებს შიშველი ხელით. ყოველთვის ატარეთ დამცავი ხელთათმანები და დაკვირვებით გაასუფთავეთ, რათა თავიდან აირიდოთ მეტალის ზედაპირის დაზიანება.
- ფილტრების გაწმენდისას გადაცალეთ ნარჩენები სანაგვე ურნაში, რათა თავიდან აირიდოთ მიკროპლასტმასის წყლის სისტემაში ჩასვლა.

2.5 კომპრესორი

⚠ **გარფთხილება!**

მოწყობილობის გაფუჭების რისკი.

- საშრობში კომპრესორი და მისი სისტემა ივსება სპეციალური ნივთოერებით, რომელიც არ შეიცავს ფტორქლორნახშირწყალბადებს. ამ სისტემამ სიმყარე უნდა შეინარჩუნოს. სისტემის დაზიანებამ, შესაძლოა, გაჟონვა გამოიწვიოს.

2.6 სერვისი

- მოწყობილობის შესაკეთებლად დაუკავშირდით ავტორიზებულ სერვის ცენტრს. გამოიყენეთ მხოლოდ ორიგინალი სათადარიგო ნაწილები.
- გაითვალისწინეთ, რომ თვით-შეკეთებას ან არაპროფესიონალურ რემონტს შეუძლია საფრთხის შემცველი შედეგების განპირობება და შესაძლოა გააუქმოს გარანტია.
- შემდეგი სათადარიგო ნაწილები ხელმისაწვდომია მოდელის გამოშვების შეწყვეტიდან მინიმუმ 10 წლის განმავლობაში: შუასადებები და ლუქები, გადამრთველები და სახელურები, კონდენსატის ტუმბო, კარის საკეტები, ძრავები და ძრავის ჯაგრისები, გადაცემათა კოლოფი ძრავსა და დოლურას შორის, ვენტილატორი და ვენტილატორის ბორბლები, დოლურა და საკისრები, წყლის მილები და მასთან დაკავშირებული აღჭურვილობა, მათ შორის მილები, სარქველები და ფილტრები, კაბელები და შტეკერები, ბეჭდური მიკროსქემის დაფები, ელექტრონული ეკრანები, თერმოსტატები და ტემპერატურის სენსორები, პროგრამული უზრუნველყოფის განახლებები (გადატვირთვის პროგრამული უზრუნველყოფის ჩათვლით), ზამბარები, გამათბობლები და გამათბობელი ელემენტები, ელექტროდამცველები (ცალკე ან ერთად შეფუთული), ძრავის კონდენსატორი დაჭიმვის ბლოკი, საყრდენი ლილვები, კარები, კარის ლუქები, კარის სახელურები, კარის საკეტის კომპლექტები და ანჯამები, ღინღლის ფილტრები, ჰაერის ფილტრები, პლასტმასის პერიფერიული მოწყობილობები, კონდენსატის ავზი. თქვენს ქვეყანაში ეს პერიოდი შეიძლება უფრო ხანგრძლივი იყოს. დამატებითი ინფორმაციის მისაღებად ეწვიეთ ჩვენს ვებ-საიტს.
- გთხოვთ გაითვალისწინეთ, რომ ზოგიერთი მათგანი მხოლოდ ხელმისაწვდომია პროფესიონალ შემკეთებელთან და რომ ყველა სათადარიგო ნაწილი ყველა შესაბამისი მოდელისათვის არ არის განკუთვნილი.
- პროდუქტში არსებული ნათურა(ები) და სათადარიგო ნათურის ნაწილები დამოუკიდებლად უნდა შეიძინოთ: ეს

ნათურები განკუთვნილია ექსტრემალური ფიზიკური პირობებისათვის საყოფაცხოვრებო დანადგარებში, როგორიც არის ტემპერატურა, ვიბრაცია, ტენიანობა და ასევე იღებენ სასიგნალო ინფორმაციას დანადგარის საოპერაციო სტატუსის შესახებ. ისინი არ არის განკუთვნილი სხვა დანადგარებში გამოყენებისათვის და საყოფაცხოვრებო ოთახების გასანათებლად.

2.7 განკარგვა

⚠ **გარფთხილება!**

დაზიანებისა ან დახუთვის რისკი.

გაფრთხილება: ხანძრის რისკი / მატერიალური ზარალის და მოწყობილობის დაზიანების რისკი.

- გამორთეთ მოწყობილობა მთავარი დენის წყაროდან და წყლის მიწოდებიდან.
- გადაჭერით მთავარი ელექტროსადენი მოწყობილობასთან ახლოს და შეინახეთ.
- მოწყობილობა შეიცავს აალებად აირს (R290). დაუკავშირდით თქვენს მუნიციპალურ უწყებას რათა მიიღოთ ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოახდინოთ მოწყობილობის სწორი უტილიზაცია.
- მოხსენით კარის დამჭერი, რათა თავიდან იქნას აცილებული ბავშვების ან შინაური ცხოველების დოლურაში ჩაკეტვა.
- მოიხმარეთ მოწყობილობა ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების ნარჩენების (WEEE) განკარგულებისთვის ადგილობრივი მოთხოვნების შესაბამისად.

3. პროდუქტის აღწერა



1 წყლის კონტეინერი
2 კონტროლის პანელი
3 მოწყობილობის კარი
4 ფილტრი
5 ქარხნული პასპორტი
6 ჰაერის ნაკადის ღარები
7 კონდენსატორის თავსახური
8 კონდენსატორის საფარი
9 რეგულირებადი ფეხები

ⓘ

სარეცხის ადვილად ჩასატვირთად ან მარტივი მონტაჟისთვის, შეძლებელია კარის მოხსნა-დაკიდება (იხილეთ ცალკე ბუკლეტი).



ტექნიკური მომსახურების ფირფიტის ჩვენებები:

A. QR კოდი
B. მოდელის სახელი
C. პროდუქტის ნომერი
D. ელექტრული მნიშვნელობები
E. სერიული ნომერი

დაასკანირეთ **QR კოდი** მოწყობილობაზე თქვენი პროდუქტის დასარეგისტრირებლად და მიიღეთ მისგან მაქსიმუმალური შედეგი.

- მიიღეთ წვდომა თქვენი მოწყობილობის შესახებ დეტალურ ინფორმაციაზე, დოკუმენტაციასა და საუკეთესო ფუნქციების გამოყენების შესახებ სტატიებზე (მომხმარებლის სახელმძღვანელო ასევე ხელმისაწვდომია **electrolux.com/manuals**-ზე)
- მიიღეთ ინფორმაცია გამოყენების, პრობლემის აღმოფხვრა, სერვისისა და შეკეთების შესახებ (ასევე ხელმისაწვდომია საიტზე **electrolux.com/support**)
- შეიძინეთ აქსესუარები, სახარჯი მასალები და ორიგინალი სატარიგო ნაწილები თქვენი მოწყობილობისთვუს (ასევე ხელმისაწვდომია **electrolux.com/shop**-ზე)

3.1 ელექტრო კავშირი

შტეკერი როზეტთან დააკავშირეთ მხოლოდ მონტაჟის ბოლოს.

ტიპის ნიშნული და „ტექნიკური მონაცემების" თავი მიუთითებს საჭირო ელექტრულ მაჩვენებელებზე. დარწმუნდით, რომ ისინი თავსებადია მაგისტრალურ დენმომარაგებასთან.

შეამოწმეთ, რომ ადგილობრივ ელექტროგაყვანილობას შეუძლია მაქსიმალური დატვირთვის უზრუნველყოფა, ელექტრულ ქსელთან დაკავშირებული სხვა მოწყობილობების გათვალისწინებით.

დანადგარი შეაერთეთ დამიწებულ შტეფსელში.



დენმომარაგების კაბელი უნდა იყოს იოლად წვდომადი დანადგარის მონტაჟის შემდეგ.

დანადგარის სამონტაჟოდ, ნებისმიერი ელექტრო სამუშოების შესასრულებლად დაუკავშირდით ავტორიზებულ სერვის ცენტრს.

მწარმოებელი არ იღებს პასუხისმგებლობას დაზიანების ან ზარალისათვის, რომელიც გამოწვეული იქნება ზემოთ აღნიშნული სიფრთხილის ზომების უგულვებელჰყოფით.

4. კონტროლის პანელი



1 პროგრამის ღილაკი და ● გადატვირთვის ამომრთველი

2 დისპლეი

3 Time Dry სენსორული ღილაკი

4 Start/Pause სენსორული ღილაკი

5 Delay Start სენსორული ღილაკი

6 Reverse Plus სენსორული ღილაკი

7 Extra Anticrease სენსორული ღილაკი

8 Dryness Level სენსორული ღილაკი

9 ჩართვის/გამორთვის ღილაკი

> ℹ
>
> თითით შეეხეთ სენსორულ ღილაკებს ამ არეში არსებული სიმბოლოთი ან ვარიანტის სახელით. მართვის პანელთან მუშაობისას, ნუ გაიკეთებთ ხელთათმანებს. დარწმუნდით, რომ მართვის პანელი ყოველთვის სუფთა და მშრალია.

4.1 დისპლეი

სიმბოლო დისპლეიზე	სიმბოლოს აღწერა
	დროის განმავლობაში გაშრობის ვარიანტი ჩართულია
	დაყოვნებული გაშვების ვარიანტი ჩართულია
	ინდიკატორი: *შეამოწმეთ თბოგადამცემი*

სიმბოლო დისპლეიზე	სიმბოლოს აღწერა
	ინდიკატორი: *გაასუფთავეთ ფილტრი*
	ინდიკატორი: *დაცალეთ წყლის კონტეინერი*
	ბავშვის დაბლოკვის ჩართული ფუნქცია
— — —	მცდარი არჩევანი ან ღილაკი არის პოზიციაში ● "გადატვირთვა"
2 : 00	პროგრამის ხანგრძლივობა
: 10 - 2 : 00	დროის განმავლობაში გაშრობის ხანგრძლივობა
1h - 20h	დაყოვნებული დაწყების ხანგრძლივობა

5. პროგრამის ცხრილი

პროგრამა	ჩატვირთვა 1)	მახასიათებლები / ქსოვილის ტიპი2)
Eco 3)	8 კგ	პროგრამა შესაფერისია სველი სარეცხის გასაშრობად და ენერგიის მოხმარების თვალსაზრისით, ყველაზე ეფექტური პროგრამაა ბამბის სველი ტანსაცმლის გასაშრობად. შრობის დონე არ არის კორექტირებადი და ნაგულისხმევად დაყენებულია, როგორც cupboard dry / შესანახად მზად. /
MixCare	5,0 კგ	გათვალისწინებულია დაუხარისხებელი ტანსაცმლის რეგულარულად გასაშრობად. თანაბრად აშრობს ბამბისგან დამზადებულ ყოველდღიურ ტანსაცმელს, ბამბისა და სინთეტიკის ნარევებსა და სინთეტიკურ ტანსაცმელს. /
Cottons	8 კგ	თეთრი და ფერადი ბამბის ქსოვილების პროგრამა. ნაგულისხმევი რეჟიმია შესანახად მზადყოფნის დონე. /
Synthetics	4 კგ	შერეული ტანსაცმელი, რომელიც ძირითადად შეიცავს სინთეტიკურ წსოვილებს, როგორიცაა პოლიესტერი, პოლიამიდი და სხვ. /
Delicates	2,0 კგ	რეკომენდებულია ორიგინალური ფაქიზი ქსოვილებისთვის, როგორიცაა ვისკოზა, ხელოვნური აბრეშუმი, აკრილი და მათი ნარევები. /
Wool	1,0 კგ	შალის ქსოვილები. ნაზი შრობა რეცხვადი შალეულობისთვის. ამოიღეთ ერთეულები პროგრამის დასრულებისთანავე.

პროგრამა	ჩატვირთვა 1)	მახასიათებლები / ქსოვილის ტიპი2)	
Refresh	**1,0 კგ**	მოკლე, დაბალი ტემპერატურული ციკლი, რომელიც ხელს უწყობს მცირე რაოდენობის ტანსაცმლის სუნის მოცილებას. ასევე გათვალისწინებულია მშრალი ტანსაცმლისთვის, რომელიც დიდ ხანს ინახებოდა.	
Easy Iron	**2,0 კგ**	\ღუდავს ნაოჭების წარმოქმნას ბამბის, სინთეტიკური და შერეული ქსოვილის ტანსაცმლით მცირე დატვირთვის შემთხვევაში, მარტივად გასაუთოებლად. მასში წარმოდგენილია გამრობის ორი დონე: გაუთოებისთვის მზადყოფნის ფუნქცია ტანსაცმელს დასაუთოვებლად ან დასაკიდად ოდნავ ნამიანს ტოვებს; კარადაში შესანახად მზადყოფნის ფუნქცია სრულად აშრობს ერთეულებს.	/
Sportswear	**4,0 კგ**	აშრობს სინთეტიკური ბოჭკოებისგან, მათ შორის, პოლიესტერისგან, ნარევი ელასტიური ქსოვილებისა და პოლიამიდისგან დამზადებულ სპორტულ ტანსაცმელს.	/
Jeans	**4,0 კგ**	ღრმად აშრობს ჯინსს და სხვა ბამბეულის ტანსაცმელს, ისეთ სქელ ნაწილებშიც კი, როგორიცაა ჯიბეები, ნაწიბურები და მანჟეტები, ამცირებს ტანსაცმლოის ერთმანეთში გადახლართვას.	/
Duvet	**3,0 კგ**	უზრუნველყოფს ერთ ან ორსაწოლიანი საბნის შალითების, ბალიშების და საბნების შიდა ნაწილების სათანადოდ გაშრობას.	/
Bedlinen **XL**	**4,5 კგ**	აშრობს ერთდროულად სამი ზეწრის ნაკრებს. ამცირებს მსხვილი ერთეულების ნაკეცებს და ნაოჭებს, იმისათვის, რომ ყველა ზეწარი გაშრეს ლაქების გარეშე.	/

1) მაქსიმალურ წონაში იგულისხმება მშრალი საგნები.

2) ქსოვილის ნიშნის მნიშვნელობა იხილეთ თავში *მინიშნებები და მითითებები: სარეცხის მომზადება.*

3) Cottons Eco პროგრამა არის „ბამბის სტანდარტული პროგრამა“ ევროკომისიის # 392/2012 რეგულაციის შესაბამისად. ის შესაფერისია სამუალოდ სველი ბამბის სარეცხის გასაშრობად.

6. ოპციები

6.1 Dryness Level

ეს ფუნქცია გეხმარებათ სარეცხის სიმშრალის გაზრდაში. არსებობს 3 ვარიანტი:

- Extra Dry
- Cupboard Dry
- Iron Dry

საბოლოო სამიზნე ტენის რეგულირება



ⓘ

ეს შეიძლება საჭირო იყოს, რადგან შრობის შედეგებზე გავლენას ახდენს ბევრი მდგომარეობა, მაგ., წყლის ტიპი, მიწოდებული ძაბვა ან გარემოს ტემპერატურა და ა.შ.

როგორ მიაღწიოთ იდეალურ შრობას:

1. სცადეთ სიმშრალის დონის რეგულირება (იხილეთ ზემოთ მოცემული ფუნქცია *სიმშრალის დონე*).
2. თუ გსურთ სარეცხის შრობის შედეგების დამატებით გაუმჯობესება, შეგიძლიათ შეცვალოთ შრობის ნაგულისხმევი პარამეტრი (იხილეთ ქვემოთ). ეს კორექტირება იმოქმედებს პროგრამების უმეტესობაზე, გამონაკლისია პროგრამები **Eco**, Wool, Duvet, Down Jacket, Refresh, თუ ისინი ხელმისაწვდომია დანადგარზე.

ⓘ

რეჟიმის „საბოლოო სამიზნე ტენის რეგულირება“ ყოველი დაწყებისას, მანამდე დაყენებული ტენიანობის ხარისხი ჩანაცვლდება ახალი მნიშვნელობით (მაგ. მანამდე დაყენებული - 2 - ჩანაცვლდება - 1 - -ით).

ნარჩენი ტენიანობის ნაგულისხმევი დონის შესაცლელად:

1. **მოწყობილობის აქტივაციისთვის დააჭირეთ ჩართვის/გამორთვის ღილაკს.**
2. **გამოიყენეთ პროგრამის ღილაკი ნებისმიერი პროგრამის დასაყენებლად.**
3. **დაელოდეთ დაახლოებით 8 წამით.**
4. **ერთდროულად ხანგრძლივად დააჭირეთ (F) და (E) ღილაკებს.**

აინთება შემდეგიინდიკატორებიდან ერთ-ერთი:

- - 0 - მაქსიმალური სიმშრალე
- - 1 - უფრო მეტად მშრალი სარეცხი
- - 2 - სტანდარტულად მშრალი სარეცხი

5. **ხანგრძლივად დააჭირეთ ღილაკებს (F) და (E) სწორი დონის ინდიკატორის ჩართვამდე.**

ⓘ

თუ დისპლეი დაუბრუნდება ნორმალურ რეჟიმს (დისპლეიზე აისახება მე-2 ნაბიჯში არჩეული პროგრამის დრო) ნარჩენი ტენიანობის დონის დაყენებისას, კიდევ ერთხელ ხანგრძლივად დააჭირეთ ღილაკებს (F) და (E) რეჟიმის „საბოლოო სამიზნე ტენის რეგულირება“ დასაწყებად (სარეცხის ნარჩენი ტენიანობის მანამდე დაყენებული მნიშვნელობა შეიცვლება შემდეგი მნიშვნელობით).

6. **5 წუთის შემდეგ დისპლეი დაუბრუნდება ნორმალურ რეჟიმს.**

6.2 Extra Anticrease

გაშრობის ციკლის ბოლოს დაჭმუჭვნის საწინააღმდეგო ფაზა 60 წუთამდე გახანგრძლივდება. ეს ფუნქცია ამცირებს დაჭმუჭვნას. დაჭმუჭვნის საწინააღმდეგო ფაზაში სარეცხის ამოღება დასაშვებია.

6.3 Reverse Plus

იმისათვის, რომ თავიდან აიცილოთ ტანსაცმლის გრეხა და გადაბლართვა, გაზარდეთ დოლურის რევერსიულობის სიხშირე. გაშრობის თანაბარი შედეგის უზრუნველსაყოფად და ნაოჭების რაოდენობის შესამცირებლად. რეკომენდებულია შედარებით დიდი

ზომის ან გრძელი ქსოვილებისთვის (მაგ. თეთრეული, შარვლები, გრძელი კაბები).

6.4 Time Dry

პროგრამის ხანგრძლივობის დაყენება შეგიძლიათ მინიმუმ 10 წუთიდან მაქსიმუმ 2 საათამდე. საჭირო ხანგრძლივობა მოწყობილობაში არსებული სარეცხის ოდენობაზეა დამოკიდებული.

> ℹ
> მცირე ოდენობის სარეცხის ან მხოლოდ ერთი ერთეულისთვის ჩვენ გირჩევთ დააყენოთ მოკლე ხანგრძლივობა.

დროში გაშრობის რეკომენდაცია	
10 წთ-მდე	მხოლოდ ცივი ჰაერის მოქმედება (გამათბობლის გარეშე)

დროში გაშრობის რეკომენდაცია	
10 - 40 წთ	შრობის წინა ციკლის შემდეგ შედეგის გასაუმჯობესებელი დამატებითი გაშრობა.
> 40 წთ	მცირე დატვირთვის, 4 კგ-მდე სარეცხის სრული გამრობა, კარგად იწურება (>1200 ბრ/წთ).

6.5 Time Dry Wool პროგრამაზე

პროგრამის შესაფერისი ვარიანტი Wool გაშრობის საბოლოო დონის დასარეგულირებლად.

6.6 ვარიანტების ცხრილი

პროგრამები[1)]	**Рівень сухості**			**Антизминання**	**Реверс Плюс**	**Час сушіння**
	☀	◐	☼			
Еко		■		■		
MixCare	■	■		■	■	■
Бавовна	■	■	■	■	■	■
Синтетика	■	■	■	■	■	■
Тонкі тканини		■		■		
Вовна						■ 2)
Освіжити				■		
Легке прасування		■	■	■		
Спорт		■		■		
Денім	■	■		■		
Пухові ковдри		■		■		
Постільна білизна **XL**	■	■	■	■	■	■

1) პროგრამასთან ერთად შეგიძლიათ დააყენოთ 1 ან მეტი ვარიანტი. მათი აქტივაციისა თუ დეაქტივაციისათვის დაჭირეთ შესაბამის სენსორულ ღილაკს.

2) იხილეთ თავი “ვარიანტები”: დანიშნული დროის განმავლობაში გაშრობა შალის პროგრამაზე

7. პარამეტრები



A. Time Dry სენსორული ღილაკი
B. Start/Pause სენსორული ღილაკი
C. Delay Start სენსორული ღილაკი
D. Reverse Plus სენსორული ღილაკი
E. Extra Anticrease სენსორული ღილაკი
F. Dryness Level სენსორული ღილაკი

7.1 ბავშვის დაბლოკვის ფუნქცია

ეს ვარიანტი არ აძლევს ბავშვებს პროგრამის მუშაობის დროს მოწყობილობით თამაშის საშუალებას. სენსორული ღილაკები დაბლოკილია.

მხოლოდ ჩართვის/გამორთვის ღილაკი არ არის დაბლოკილი.

ბავშვის დაბლოკვის ფუნქციის აქტივაცია:

1. მოწყობილობის აქტივაციისთვის დააჭირეთ ჩართვის/გამორთვის ღილაკს.
2. ხანგრძლივად დააჭირეთ ღილაკს (**D**) რამდენიმე წამის განმავლობაში.

ბავშვის დაბლოკვის ფუნქცია გააქტიურდება.

ⓘ

ბავშვის დაბლოკვის ვარიანტის დეაქტივაცია შეუძლებელია პროგრამის მუშაობისას. ხანგრძლივად დააჭირეთ იგივე ღილაკებს, ბავშვის დაბლოკვის ინდიკატორის გამორთვამდე. ბავშვის დაბლოკვის ფუნქცია, შესაძლოა, არ იყოს ხელმისაწვდომი მოწყობილობის ჩართვის შემდეგ 8 წამის განმავლობაში.

7.2 წყლის კონტეინერის ინდიკატორი

ნაგულისხმევად, წყლის კონტეინერის ინდიკატორი ჩართულია. ის ირთვება პროგრამის დასრულებისას ან როდესაც წყლის კონტეინერის დაცლაა საჭირო.

ⓘ

თუ სადრენაჟო ნაკრები დაყენებულია (დამატებითი აქსესუარი), მოწყობილობა ავტომატურად დაცლის წყალს წყლის კონტეინერიდან. ამ შემთხვევაში, ჩვენ გირჩევთ გამორთოთ წყლის კონტეინერის ინდიკატორი.

წყლის კონტეინერის ინდიკატორის დეაქტივაცია:

1. მოწყობილობის აქტივაციისთვის დააჭირეთ ჩართვის/გამორთვის ღილაკს.
2. დაელოდეთ დაახლოებით 8 წამით.
3. ხანგრძლივად შეეხეთ ერთდროულად (**E**) და (**D**) ღილაკებს. ეკრანზე ნაჩვენებია „გამორთულია“ და წყლის კონტეინერის ინდიკატორი დეაქტივირებულია. 5 წუთის შემდეგ დისპლეი დაუბრუნდება ნორმალურ რეჟიმს.

ⓘ

წყლის კონტეინერის ინდიკატორის ხელახლა გასააქტიურებლად გაიმეორეთ ზემოაღნიშნული პროცედურა. ეკრანზე ნაჩვენებია „ჩართულია“ და წყლის კონტეინერის ინდიკატორი გააქტიურებულია.

7.3 ზუმერი ჩართული/გამორთული

ხმოვანის სიგნალების ჩასართველად ან გამოსართველად ერთდროულად ხანგრძლივად დააჭირეთ სენსორულ ღილაკებს (**A**) და (**C**) დაახლოებით 2 წამის განმავლობაში.

7.4 მუშაობის საათების მრიცხველი

ეს ფუნქცია საშუალებას გაძლევთ აჩვენოთ საათებში ასახული მოწყობილობის მუშაობის მთლიანი დრო, რომელიც მისი პირველად ჩართვის მომენტიდან ითვლება. ციკლების მუშაობის ფაქტიური დრო აისახება (არ მოიცავს პაუზებს ან დაგვიანებულ დაწყების დროს).

ამ მნიშვნელობის სანახავად, შემდეგი მოქმედებები შეასრულეთ:

1. ჩართეთ მოწყობილობა **ჩართვა/ გამორთვა** ღილაკზე დაჭერით.
2. ხანგრძლივად დააჭირეთ **F** და **D** ღილაკებს რამდენიმე წამის განმავლობაში.
3. 3 წამის შემდეგ ეკრანზე მოწყობილობის მუშაობის საერთო დრო აისახება: მაგ. თუ მუშაობის დრო **1276** საათს შეადგენს, ეკრანზე 2 წამით აისახება ტექსტი **Hr**, შემდეგ 2 წამით აისახება **12**, რასაც მოჰყვება **76**. ეს მნიშვნელობა აისახება ერთდროულად ორი ციფრის თანმიმდევრობით: პირველი ორი ციფრი ათასებს და ასეულებს, მეორე ორი ციფრი ათეულებსა და ერთეულებს აღნიშნავს.

ამ რეჟიმიდან გამოსასვლელად დააჭირეთ ნებისმიერ ღილაკს, ჩართეთ გადამრთველის სახელური ან გამორთეთ მოწყობილობა.

7.5 ქარხნული ნაგულისხმევი პარამეტრები

ეს ფუნქცია ნაგულისხმევი ქარხნული პარამეტრების აღდგენის საშუალებას გაძლევთ. შენახული ვარიანტები და სამუშაო რეჟიმები საწყის პარამეტრებზე დაყენდება.

ამ პარამეტრის **გასააქტიურებლად** შემდეგი მოქმედებები შეასრულეთ:

1. ჩართეთ მოწყობილობა **ჩართვა/ გამორთვა** ღილაკზე დაჭერით.
2. დაელოდეთ დაახლოებით 8 წამი.
3. ხანგრძლივად დააჭირეთ **D** და **C** ღილაკებს რამდენიმე წამის განმავლობაში.
4. მოწყობილობა დაადასტურებს ოპერაციას **– – –**.

ⓘ

თუ პროცედურა არ მუშაობს (ეს შეიძლება იყოს დროის ამოწურვით ან კლავიშების არასწორი კომბინაციით გამოწვეული), გამორთეთ მოწყობილობა და თავიდან გაიმეორეთ მოქმედებათა თანმიმდევრობა.

8. პირველად გამოყენებამდე

ⓘ

როდესაც საშრობი პირველად ჩაირთვება, დოლურის უკანა ჩამკეტები ავტომატურად ამოღებული იქნება. შეიძლება გაიგონოთ გარკვეული ხმაური.

ხაზგასმით რეკომენდებულია ნებისმიერი პროგრამის პირველი გაშვება დატვირთვის გარეშე რამდენიმე წამის განმავლობაში, რათა დარწმუნდეთ, რომ დოლურას უკანა ჩამკეტები სათანადოდაა ამოღებული.

დოლურის უკანა ჩამკეტების გასახსნელად:

1. ჩართეთ მოწყობილობა.
2. დააყენეთ ნებისმიერი პროგრამა.
3. დააჭირეთ დაწყების/დაპაუზების ღილაკს.

დოლურა დაიწყებს ბრუნვას. დოლურის უკანა ჩამკეტები ავტომატურად დეაქტივირდება.

თუ დოლურა ისევ არ ტრიალებს, გთხოვთ, მექანიკურად გახსნათ დოლურას უკანა ჩამკეტები (ამისათვის გამოიყენეთ მოწოდებული გასაღები).







სანამ მოწყობილობას ნივთების გასაშრობად გამოიყენებთ:

- სველი ტილოთი გაწმინდეთ საშრობის დოლურა.
- გაუშვით 1 საათიანი პროგრამა სველი სარეცხით.

გაშრობის ციკლის დასაწყისში, (პირველი 3-5 წუთი) შესაძლოა, ოდნავ უფრო ძლიერი ხმაური გაიგონოთ. ესკომპრესორის ჩართვითაა გამოწვეული. ეს ნორმალურია ისეთი კომპრესორიანი მოწყობილობების შემთხვევაში, როგორიცაა მაცივრები და საყინულეები.

8.1 უჩვეულო სუნი

მოწყობილობაში ტანსაცმელი მჭიდროდაა ჩაწყობილი.

პროდუქტის შეფუთვის მოხსნის შემდეგ იგრძნობთ უჩვეულო სუნს. სრულიად ახალი პროდუქტების შემთხვევაში ეს ნორმალურია.

მოწყობილობა სხვადასხვა ტიპის მასალისგანაა შედგენილი, რომელთაც ერთობლივადუჩვეულო სუნის გამოწვევა შეუძლიათ.

რამდენიმე ციკლის განმავლობაში გამოყენების შემდეგ უჩვეულო სუნი თანდათან გაქრება.

8.2 ხმაურები

გაშრობის ციკლის განმავლობაში, სხვადასხვა დროს შეიძლება გაიგონოთ სხვადასხვა ხმაური. ეს მოწყობილობის მუშაობის დამახასიათებელი აბსოლუტურად ნორმალური ხმებია.

მომუშავე კომპრესორი.



მბრუნავი დოლურა,



მომუშავე ვენტილატორები.



მომუშავე ტუმბო და კონდენსაციის ავზში გადაცემა.



9. ყოველდღიური გამოყენება

9.1 პროგრამის დაწყება

1. მოამზადეთ სარეცხი და ჩატვირთეთ მოწყობილობაში.



⚠ **სიფრთხილე!**

დარწმუნდით, რომ კარის დახურვისას სარეცხი არ მოეტნევა მოწყობილობის კარსა და რეზინის შუასადებს შორის.

2. მოწყობილობის გასააქტიურებლად დააჭირეთ ჩართვის/გამორთვის ღილაკს.
3. დააყენეთ სწორი პროგრამა და ვარიანტები დატვირთვის ტიპის მიხედვით.

დისპლეიზე ნაჩვენებია პროგრამის ხანგრძლივობა.

ⓘ

გაშრობის რეალური დრო დამოკიდებული იქნება დატვირთვის ტიპზე (რაოდენობა და შემადგენლობა), ოთახის ტემპერატურასა და ბრუნვით გაშრობის ფაზის შემდეგ თქვენი სარეცხის ტენიანობაზე.

4. დააჭირეთ Start/Pause სენსორულ ღილაკს.

პროგრამა ჩაირთვება.

9.2 პროგრამის ჩართვა დაყოვნებული გაშვებით.

1. დააყენეთ სწორი პროგრამა და ვარიანტები დატვირთვის ტიპის მიხედვით.
2. საჭიროებისამებრ, ისევ და ისევ დააჭირეთ დაყოვნებული გაშვების ღილაკს, იქამდე სანამ დისპლეიზე თქვენი სასურველი დრო არ გამოჩნდება.

ⓘ

პროგრამის გაშვება შეგიძლიათ დააყოვნოთ მინიმუმ 1, ან მაქსიმუმ 20 საათით.

3. დააჭირეთ Start/Pause სენსორულ ღილაკს.

დისპლეი აჩვენებს დაყოვნებული გაშვების დროის ათვლას.

უკუთვლის დასრულებისას პროგრამა იწყება ავტომატურად.

9.3 შეცვალეთ პროგრამა

1. მოწყობილობის გამოსართავად დააჭირეთ ჩართვის/გამორთვის ღილაკს
2. მოწყობილობის გასააქტიურებლად დააჭირეთ ჩართვის/გამორთვის ღილაკს.
3. დააყენეთ პროგრამა.

სანაცვლოდ:

1. შემოატრიალეთ სელექტორის სახელური ● „გადატვირთვის“ პოზიციაზე.
2. დაელოდეთ 1 წამით. დისპლეიზე ნაჩვენებია — — —.
3. დააყენეთ პროგრამა.

9.4 პროგრამის დასასრულს

როდესაც პროგრამა დასრულდება:

- ამუშავდება წყვეტილი ხმოვანი სიგნალი.
- დისპლეიზე ნაჩვენები იქნება 0 : 0 0 .
- ინდიკატორები Filter და Tank ჩაირთვება.
- ინდიკატორი Start/Pause ჩართულია.

თუ არჩეულია Extra Anticrease ვარიანტი (იხილეთ თავი *ვარიანტი - Extra Anticrease*)მოწყობილობა გააგრძელებს მუშაობას დაჭმუჭვნის საწინააღმდეგო ფაზაში დაახლოებით 30 წუთის ან მეტი ხნის განმავლობაში.

დაჭმუჭვნის საწინააღმდეგო ფაზა ამცირებს დაჭმუჭვნას.

სარეცხის ამოღება დაჭმუჭვნის საწინააღმდეგო ფაზის დასრულებამდე შეგიძლიათ. უკეთესი შედეგების მისაღებად, ჩვენ მიერ რეკომენდებულია ამოიღოთ სარეცხი როდესაც ფაზა თითქმის სრულად დასრულებულა ან დასრულდა.

როდესაც დაჭმუჭვნის საწინააღმდეგო ფაზა დასრულდება:

- დისპლეიზე ისევ ნაჩვენებია 0 : 0 0 .
- ინდიკატორები Filter და Tank ჩაირთვება.
- Start/Pause ინდიკატორი გამოირთვება.

1. მოწყობილობის დეაქტივაციისთვის დააჭირეთ ჩართვის/გამორთვის ღილაკს.
2. გააღეთ მოწყობილობის კარი.
3. ამოიღეთ სარეცხი.
4. დახურეთ მოწყობილობის კარი.

გაშრობის არადამაკმაყოფილებელი შედეგების შესაძლო მიზეზები:

- სიმშრალის ნაგულისხმევი დონის არაადეკვატური პარამეტრები. იხილეთ თავი *ოპციები: შრობის დონე — საბოლოო სამიზნე ტენის რეგულირება*
- ოთახის ტემპერატურა მეტისმეტად დაბალი ან მაღალია. ოთახის

ოპტიმალური ტემპერატურა უნდა იყოს 18°-25°C დიაპაზონში.

პროგრამის დასრულების შემდეგ ყოველთვის გაასუფთავეთ ფილტრი და დააცარიელეთ წყლის კონტეინერი.

ტენიანობის თავიდან ასაცილებლად დატოვეთ კარი ოდნავ შეღებული ყოველი ციკლის შემდეგ.

9.5 დაბალი სიმძლავრის რეჟიმი

ენერგიის ხარჯის შესამცირებლად, მოცემული ფუნქცია ავტომატურად გამორთავს მოწყობილობას:

- 5 წუთის შემდეგ იმ შემთხვევაში, თუ პროგრამას არ გაუშვებთ.
- პროგრამის ან დაჭმუჭვნის საწინააღმდეგო ეტაპის დასრულებიდან 5 წუთის შემდეგ.

დრო მცირდება 30 წამამდე თუ გადამთველის სახელური არის მიმართული ● "გადატვირთვის" პოზიციაზე.

როდესაც დანადგარი დაბალი სიმძლავრის რეჟიმში გადავა, ეკრანი და ხატულები გაითიშება. მის ხელახლა გასააქტიურებლად დააჭირეთ ჩართვის/გამორთვის ღილაკს.

10. მინიშნებები და რჩევები

10.1 სარეცხის მომზადება

დოლურის დატვირთვა შესაბამისი პროგრამებისთვის მითითებულ მაქსიმალურ ნიშნულამდე ენერგიის დაზოგვაში დაგეხმარებათ.

ძალიან ხშირად, რეცხვის ციკლის შემდეგ ტანსაცმელი ერთმანეთში გადახლართული და დაკუჭულია. გადახლართული და დაკუჭული ტანსაცმლის გაშრობა არაეფექტურია. სათანადო ჰაერის ნაკადისა და თანაბარი შრობის უზრუნველსაყოფად, რეკომენდებულია სათითაოდ გაფერთხოთ ტანსაცმელი და ჩატვირთოთ საშრობში.

გაშრობის სათანადო პროცესის უზრუნველსაყოფად:

- შეკარით ელვები.
- შეკარით შალითების შესაკრავები.
- ჰალსტუხები ან ლენტები (მაგ. წინსაფრის ლენტები) არ გააშროთ ცალ-ცალკე. პროგრამის გაშვებამდე შეკარით ისინი ერთად.
- ჯიბეებიდან ამოიღეთ ყველა ნივთი.
- ამოატრიალეთ შიდა ბამბის შრის მქონე ერთეულები შიგნიდან გარეთ. ბამბის ფენა უნდა იყოს გარეთ ამოტრიალებული.
- ყოველთვის დააყენეთ სარეცხის ტიპის შესაბამისი პროგრამა.
- მუქი და ღია ფერის ერთეულებს ერთად ნუ მოათავსებთ.
- ქსოვილის შეკუმშვის თავიდან ასაცილებლად გამოიყენეთ ბამბის, ჯერსის და ნაქსოვი ტიპის ქსოვილის შესაბამისი პროგრამა.
- არ გადააჭარბოთ პროგრამების თავში მითითებულ ან დისპლეიზე ნაჩვენებ მაქსიმალურ დატვირთვას.
- გააშრეთ მხოლოდ ის სარეცხი, რომლის საშრობში გაშრობა დასაშვებია. იხილეთ ტანსაცმლის ქსოვილის ეტიკეტი.
- დიდ და პატარა ერთეულებს ერთად ნუ გააშრობთ. მცირე საგნები, შესაძლოა, დიდ საგნებში გაიჭედოს და დარჩეს სველი.

- გაფერთხეთ დიდი ტანსაცმელი, ქსოვილები საშრობში მოთავსებამდე. ეს ხდება იმისათვის, რომ თავიდან აიცილოთ გაშრობის ციკლის შემდეგ დარჩენილი სველი ადგილები.

ქსოვილის ეტიკეტი	აღწერა
	სარეცხი გაშრობასთან თავსებადია.
	სარეცხი მაღალ ტემპერატურაზე გაშრობასთან თავსებადია.
	სარეცხი მხოლოდ დაბალ ტემპერატურაზე გაშრობასთან თავსებადია.
	სარეცხი არ არის გაშრობასთან თავსებადი.

11. მოვლა და დასუფთავება

11.1 პერიოდული წმენდის განრიგი

პერიოდული წმენდა ეხმარება დანადგარის სიცოცხლისუნარიანობის გაგრძელებაში.

თუ დანადგარი ხანგრძლივი დროის მანძილზე არ იქნება გამოყენებული, გამოაერთეთ დანადგარი.

ინდიკატორი პერიოდული წმენდის განრიგი:

ფილტრის გასუფთავება	როდესაც ინდიკატორი აციმციმდება
დაცალეთ წყლის კონტეინერი	როდესაც ინდიკატორი აციმციმდება
გაწმინდეთ თბოგადამცემი	როდესაც ინდიკატორი აციმციმდება
გაწმინდეთ ტენიანობის სენსორი	მინიმუმ 3-4-ჯერ წელიწადში
გაწმინდეთ დოლურა	ყოველ ორ თვეში ერთხელ
გაწმინდეთ მართვის პანელი და კორპუსი	ყოველ ორ თვეში ერთხელ
გაწმინდეთ ჰაერის ნაკადის ღარები	ყოველ ორ თვეში ერთხელ

შემდეგი პარაგრაფები განმარტავს, თუ როგორ უნდა გაწმინდოთ თითოეული ნაწილი.

11.2 უცხო საგნების მოცილება

> ⓘ
> შრობის ციკლის გაშვებამდე დარწმუნდით, რომ ჯიბეები დაცლილია და მოშვებული ელემენტები შეკრულია. იხილეთ სექცია „სარეცხის მომზადება“.

ამოიღეთ ნებისმიერი უცხო საგანი, რომელსაც დოლურაში იპოვით შრობის ციკლის დასრულების შემდეგ (მაგ., ლითონის სამაგრები, ღილები, მონეტები და სხვა)

11.3 ფილტრის გასუფთავება

თითოეული ციკლის ბოლოს აინთება ფილტრის ინდიკატორი და თქვენ უნდა გაწმინდოთ ფილტრი.

> ⓘ
> ფილტრი გაშრობის ციკლის განმავლობაში აგროვებს ნაძენძს.

ⓘ

გაშრობის საუკეთესო ხარისხის მისაღწევად, რეგულარულად გაწმინდეთ ფილტრი.
დაბინძურებული ფილტრი იწვევს გაშრობის ციკლის გახანგრძლივებას და შედეგად ენერგიის მოხმარებაც იზრდება.
გაწმინდეთ ფილტრი ხელით. საჭიროების შემთხვევაში გამოიყენეთ მტვერსასრუტი.

⚠ **სიფრთხილე!**

ფილტრების გაწმენდისას ნაძენძი უნდა გადაყაროთ ნაგვის ურნაში და არ ჩარეცხოთ საწრეტში, რათა თავიდან აიცილოთ მიკროპლასტიკური ნარჩენების გავრცელება ნარჩენი წყლის სისტემაში.

1. გააღეთ კარი. ამოწიეთ ფილტრი.



2. მიაწექით კაუჭს ფილტრის გასახსნელად.



3. ხელით შეაგროვეთ ნაძენძი ფილტრის ორივე შიდა ნაწილიდან.



ჩააგდეთ ნაძენძი ნაგვის ურნაში.

4. საჭიროების შემთხვევაში, გაწმინდეთ ფილტრი მტვერსასრუტით. დახურეთ ფილტრი.
5. საჭიროების შემთხვევაში, მოაცილეთ ნაძენძი ფილტრის ბუდეს და შუასადებს. შეგიძლიათ გამოიყენოთ მტვერსასრუტი. ფილტრი ისევ ჩასვით ფილტრის ბუდეში.





11.4 წყლის კონტეინერის დაცლა.

ყოველი გაშრობის ციკლის შემდეგ დაცალეთ კონდენსირებული წყლის კონტეინერი.

თუ კონდენსირებული წყლის კონტეინერი სავსეა, პროგრამა ავტომატურად გაჩერდება. წყლის კონტეინერის სიმბოლო დისპლეიზე გამოჩნდება და თქვენ უნდა დაცალოთ წყლის კონტეინერი.

წყლის კონტეინერის დასაცლელად:

1. გამოქაჩეთ წყლის კონტეინერი და იქონიეთ ის ჰორიზონტალურ პოზიციაში.



2. ჩაასხით წყალი ნიჟარაში ან ექვივალეტ მიმღებში.



3. მოათავსეთ წყლის კონტეინერი იმავე პოზიციაში.



4. პროგრამის გასაგრძელებლად დააჭირეთ ▷‖. დაწყება/დაპაუზების ღილაკი.

11.5 კონდენსატორის გაწმენდა

თუ დისპლეიზე ციმციმებს კონდენსატორის ⇶ შეამოწმეთ კონდენსატორი და მისი განყოფილება. თუ ჭუჭყიანია, გაასუფთავეთ. შეამოწმეთ არანაკლებ 6 თვეში ერთხელ.

⚠ **გარფთხილება!**

არ შეეხოთ ლითონის ზედაპირს შიშველი ხელებით. დაზიანების რისკი. გაიკეთეთ დამცავი ხელთათმანები. ფრთხილად გაასუფთავეთ, ლითონის ზედაპირის დაზიანების თავიდან ასაცილებლად.

⚠ **გარფთხილება!**

კონდენსატორიდან ნაძენძის ამოსაღებად არ გამოიყენოთ მტვერსასრუტი მყარი სამაგრით, რადგან მან შეიძლება დააზიანოს კონდენსატორის წიბოები, რაც გამოიწვევს დანადგარის ეფექტურობის შემცირებას და შრობას მეტი დრო დასჭირდება.



შესამოწმებლად:

1. გააღეთ კარი. ამოწიეთ ფილტრი.



2. გახსენით კონდენსატორის საფარი.



3. შეაბრუნეთ ბერკეტები, რომ გახსნათ და ქვემოთ დაწიოთ კონდენსატორის თავსახური.



4. საჭიროების შემთხვევაში, მოაცილეთ ბუსუსები კონდენსატორს და მის განყოფილებას. შეგიძლიათ გამოიყენოთ მტვერსასრუტი, მასზე დამაგრებული ჯაგრისით.



5. დახურეთ კონდენსატორის თავსახური.



6. მოატრიალეთ ბერკეტი, სანამ ტკაცუნით არ ჩაჯდება თავის ადგილზე.



7. ჩასვით ფილტრი თავის ადგილზე.



11.6 ტენიანობის სენსორის გაწმენდა

⚠ **სიფრთხილე!**

ტენიანობის სენსორის დაზიანების რისკი. სენსორის გასაწმენდად ნუ გამოიყენებთ აბრაზიულ მასალას ან ფოლადის სახეხს.

შრობის საუკეთესო შედეგების მისაღწევად, მოწყობილობა აღჭურვილია ლითონის ტენიანობის სენსორით. ის კარის არის შიდა ნაწილზეა მოთავსებული.

დროთა განმავლობაში, გამოყენების შედეგად სენსორის ზედაპირი შეიძლება დაბინძურდეს, რაც აუარესებს გაშრობის პოტენციალს.

ჩვენი რეკომენდაციაა გაწმინდოთ სენსორი მინიმუმ 3-4-ჯერ წელიწადში ან იმ შემთხვევაში, თუ დაინახავთ გაშრობის პოტენციალის გაუარესებას.

გასაწმენდად შეგიძლიათ გამოიყენოთ ჭურჭლის სარეცხი ღრუბლის უფრო მაგარი მხარე და მცირე რაოდენობის ძმარი ან ჭურჭლის საპონი.

სენსორის გასაწმენდად:

1. გახსენით ჩატვირთვის კარი.
2. რამდენჯერმე ჩამოწმენდით გაწმინდეთ ტენიანობის სენსორის ლითონის ზედაპირები.



11.7 დოლურის გასუფთავება

⚠ **გარფთხილება!**

გაწმენდამდე, გამორთეთ მოწყობილობა დენის წყაროდან.

დოლურისა და დოლურის ამწევების შიდა ზედაპირის გასარეცხად გამოიყენეთ სტანდარტული ნეიტრალური საპნის სარეცხი საშუალება. გასუფთავებული ზედაპირები გაამშრალეთ რბილი ტილოთი.

⚠ **სიფრთხილე!**

დოლურის გასაწმენდად ნუ გამოიყენებთ აბრაზიულ მასალას ან ფოლადის სახეხს.

11.8 მართვის პანელის და კორპუსის გაწმენდა

მართვის პანელისა და კორპუსის გასაწმენდად გამოიყენეთ სტანდარტული ნეიტრალური საპნის სარეცხი საშუალება.

გასაწმენდად გამოიყენეთ წყალში დასველებული ტილო. გასუფთავებული ზედაპირები გაამშრალეთ რბილი ტილოთი.

⚠ **სიფრთხილე!**

ნუ გამოიყენებთ ავეჯის საწმენდ ან ის საწმენდ ნივთიერებებს, რომლებსაც შეუძლია კოროზიის გამოწვევა.

11.9 ჰაერის ნაკადის ღარების გაწმენდა

ჰაერის ნაკადის ღარებიდან ბუსუსების მოსაცილებლად გამოიყენეთ მტვერსასრუტი.

12. პრობლემის აღმოფხვრა

⚠ **გარფთხილება!**

იხილეთ უსაფრთხოების თავი

12.1 შეცდომის კოდები

მოწყობილობა არ იწყებს მუშაობას ან ჩერდება მუშაობის დროს.

ჯერ სცადეთ პრობლემის გადაჭრა (იხილეთ ცხრილი). თუ პრობლემა არ აღმოფხვრა, დაუკავშირდით ავტორიზებულ სერვის ცენტრს.

⚠ **გარფთხილება!**

ნებისმიერი შემოწმების განხორციელებამდე მოახდინეთ მოწყობილობის დეაქტივაცია.

დიდი პრობლემების შემთხვევაში, ხმოვანი სიგნალი ირთვება, დისპლეიზე ჩნდება შეცდომის კოდი და ▷‖ Start/Pause ღილაკი უწყვეტად ციმციმებს:

შეცდომის კოდი	შესაძლო მიზეზი	ხარვეზების გამოსწორება
E50	მოწყობილობის ძრავა გადაიტვირთა. დოლურაში ზედმეტი სარეცხია ან სარეცხი გაჭედილი.	პროგრამა არ დასრულდა. ამოიღეთ სარეცხი დოლურიდან, დააყენეთ პროგრამა და დაიწყეთ ციკლი ახლიდან.
E90 ან **E91**	შიდა შეცდომა. მოწყობილობის ელექტრო ელემენტებს შორის კომუნიკაცია არ არის.	პროგრამა სწორად არ დამთავრებულა ან მოწყობილობა ძალიან ადრე გაჩერდა. გამორთეთ და ჩართეთ დანადგარი ხელახლა. შეცდომის კოდი ახლიდან გამოჩენის შემთხვევაში, დაუკავშირდით ავტორიზებულ სერვის ცენტრს.
EH0	დენის მიწოდება არასტაბილურია.	როდესაც მოწყობილობაზე ნაჩვენებია **EH0**, დაელოდეთ დენის დასტაბილურებას და შემდეგ დააჭირეთ ჩართვის ღილაკს. თუ მოწყობილობის ციკლი რაიმე მაჩვენებლის გარეშე გაჩერდება, დააჭირეთ ციკლის დაწყების ღილაკს. თუ კვლავ გამოჩნდება გაფრთხილება, შეამოწმეთ დენის სადენი/როზეტი ან კვების ძირითადი წყარო დაზიანებაზე.

თუ დისპლეიზე შეცდომის სხვა კოდებია ნაჩვენები, გამორთეთ და ჩართეთ მოწყობილობა. პრობლემის გაგრძელების შემთხვევაში დაუკავშირდით ავტორიზებულ სერვის ცენტრს.

საშრობ მანქანასთან დაკავშირებით სხვა პრობლემის შემთხვევაში, გადაჭრის შესაძლო გზები ეძიეთ ქვემოთ მოცემულ ცხრილში.

12.2 პრობლემის აღმოფხვრა

პრობლემა	შესაძლო გამოსავალი
მოწყობილობას ვერ გააქტიურებთ.	დარწმუნდით, რომ შტეფსელი შეერთებულია როზეტთან.
	შეამოწმეთ მცველი მანაწილებელ ყუთში (სახლის პირობებში დამონტაჟება).
დოლურა არ ტრიალებს.	მექანიკურად გახსენით უკანა დოლურის ჩამკეტები (იხილეთ თავი *პირველად გამოყენებამდე*).
პროგრამა არ იწყება.	დააჭირეთ ღილაკს Start/Pause.
	დარწმუნდით, რომ მოწყობილობის კარი დაკეტილია.
მოწყობილობის კარი არ იხურება.	დარწმუნდით, რომ ფილტრი სწორადაა დაყენებული.
	დარწმუნდით, რომ სარეცხი მოწყობილობის კარსა და რეზინის შუასადებს შორის არ არის გაჭედილი.
მუშაობის დროს მოწყობილობა ჩერდება.	დარწმუნდით, რომ წყლის კონტეინერი ცარიელია. დააჭირეთ Start/Pause პროგრამის ახლიდან გასაშვებად.
	დატვირთვა ძალიან მცირეა, გაზარდეთ დატვირთვა ან გამოიყენეთ პროგრამა Time Drying.
ციკლი მეტისმეტად გრძელია ან გაშრობის შედეგი არადამაკმაყოფილებელია.[1]	დარწმუნდით, რომ დატვირთვის წონა პროგრამის ხანგრძლივობის შესაფერისია.
	დარწმუნდით, რომ ფილტრი სუფთაა.
	სარეცხი მეტისმეტად სველია. სარეცხი ისევ გაწურეთ სარეცხ მანქანაში.
	დარწმუნდით, რომ ოთახის ტემპერატურა +5°C - +35°C დიაპაზონშია. ოთახის ოპტიმალური ტემპერატურა არის 18°C-დან 25°C-მდე.
	დააყენეთ Time Drying ან Extra Dry პროგრამა.[2]
დისპლეიზე ნაჩვენებია ▬ ▬ ▬.	თუ გსურთ ახალი პროგრამის დაყენება, გამორთეთ და თავიდან ჩართეთ მოწყობილობა.
	დარწმუნდით, რომ ვარიანტები პროგრამის შესაფერისია.

[1] მაქსიმუმ 5 საათის შემდეგ პროგრამა ავტომატურად დასრულდება.

[2] შეიძლება ისე მოხდეს, რომ დიდი საგნების (მაგ. ზეწრების) გაშრობისას მათი გარკვეული არეები დარჩეს ტენიანი.

რეცხვის შედეგები არადამაკმაყოფილებელია

- დაყენებული პროგრამა იყო არასწორი.
- ფილტრი დახშობილია.
- თბოგადამცემი დახშობილია.
- მოწყობილობაში მეტისმეტად ბევრი სარეცხი იყო.
- დოლურა დაბინძურებულია.

- ელექტროგამტარობის სენსორის არასწორი პარამეტრები (უფრო ეფექტური პარამეტრების დასაყენებლად იხილეთ შემდეგი თავი: *„ვარიანტები: სიმშრალის დონე - რეგულირება სასურველი საბოლოო ტენიანობის დონის მისაღებად“*).
- ჰაერის ნაკადის ღარები დახშობილია.
- ითახის ტემპერატურა ძალიან მაღალი ან ძალიან დაბალია ოთახის ოპტიმალური ტემპერატურაა 18°C - 25°C)

13. ტექნიკური მონაცემები

სიმაღლე x სიგანე x სიღრმე	850 x 596 x 638 მმ (მაქსიმალური 662 მმ)
მაქს. სიღრმე, როდესაც მოწყობილობის კარი ღიაა	1107 მმ
მაქს. სიგანე, როდესაც მოწყობილობის კარი ღიაა	958 მმ
რეგულირებადი სიმაღლე	850 მმ (+ 15 მმ - ფეხების რეგულაცია)
დოლურის მოცულობა	118 ლ
მაქსიმალური დატვირთვის მოცულობა	**8** კგ
ძაბვა	230 ვ
სიხშირე	50 ჰც
ხმის სიმძლავრის დონე	66 დბ
საერთო სიმძლავრე	800 ვტ
ენერგოეფექტურობის კლასი	**A++**
ენერგიის მოხმარება სრული დატვირთვით სტანდარტული ბამბის პროგრამისას. **1)**	**1,93** კვტ/სთ
ენერგიის მოხმარება ნაწილობრივი დატვირთვით სტანდარტული ბამბის პროგრამისას. **2)**	**1,08** კვტ/სთ
წლიური ენერგომოხმარება**3)**	234,7 კვტ/სთ
ჩართულ მდგომარეობაში დატოვების რეჟიმის დროს სიმძლავრის მოხმარება **4)**	0,50 ვტ
გამორთული რეჟიმის სიმძლავრის ხარჯი **4)**	0,50 ვტ
გამოყენების ტიპი	საოჯახო
ოთახის დასაშვები ტემპერატურა	+ 5°C-დან + 35°C-მდე
მყარი ნაწილაკების მოხვედრისა და ტენიანობის წინააღმდეგ დაცვის დონე უზრუნველყოფილია დამცავი საფარით, გარდა იმ შემთხვევისა, როცა დაბალი ძაბვის აღჭურვილობას არ გააჩნია ტენიანობის საწინააღმდეგო დაცვა	**IPX4**
გაზის აღნიშვნა	R290

წონა	0,140 kg

1) EN 61 121-თან დაკავშირებით. 8 კგ ბამბა, ცენტრიფუგირებული 1000 ბრ/წთ სიჩქარით.

2) EN 61 121-თან დაკავშირებით. 4 კგ ბამბა, ცენტრიფუგირებული 1000 ბრ/წთ სიჩქარით.

3) ენერგიის წლიური მოხმარება კვტ/სთ, სტანდარტული ბამბის პროგრამის 160 შრობის სრული ან ნაწილობრივი დატვირთვის ციკლსა და დაბალი სიმძლავრით მუშაობისას რეჟიმების მიერ ენერგიის მოხმარებაზე დაყრდნობით. თითო ციკლში ენერგიის ფაქტიური მოხმარება დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ ხდება დანადგარის გამოყენება (რეგულაცია (EU) # 392/2012).

4) EN 61 121-თან დაკავშირებით.

ზემოთ მოცემულ დიაგრამაში წარმოდგენილი ინფორმაცია შეესაბამება ევრო კომისიის რეგულაციას 392/2012, რომელიც ახორციელებს 2009/125/EC დირექტივას.

13.1 მონაცემები მოხმარების შესახებ

ⓘ

შემდეგი მნიშვნელობები მიღებულია ლაბორატორიულ პირობებში, შესაბამისი სტანდარტებით. მონაცემების შეცვლა სხვადასხვა პარამეტრს შეუძლია, მაგალითად: სარეცხის რაოდენობას, სარეცხის ტიპს და გარემოს პირობებს. სარეცხის საწყისმა ტენიანობამ, წყლის ტიპმა, ელექტროენერგიის ძაბვამ და პროგრამის სტანდარტული პარამეტრების შეცვლამ ასევე შეიძლება ზეგავლენა მოახდინოს ელექტროენერგიის მოხმარებაზე, შრობის პროგრამის მუშაობის ხანგრძლივობასა და საბოლოო ტენიანობაზე.

პროგრამა	ტრიალის სიჩქარე / ნარჩენი ტენიანობა	გაშრობის დრო[1)]	ენერგიის მოხმარება[2)]
	Cottons **Eco** 8 კგ		
Cupboard Dry	1400 ბრ/წთ / 50%	145 წთ.	1,59 კვტ/სთ
	1000 ბრ/წთ / 60%	178 წთ.	1,93 კვტ/სთ
	Cottons 8 კგ		
Iron Dry	1400 ბრ/წთ / 50%	110 წთ.	1,18 კვტ/სთ
	1000 ბრ/წთ / 60%	140 წთ.	1,45 კვტ/სთ
	Cottons **Eco** 4 კგ		
Cupboard Dry	1400 ბრ/წთ / 50%	89 წთ.	0,90 კვტ/სთ
	1000 ბრ/წთ / 60%	104 წთ.	1,08 კვტ/სთ
	Synthetics 4 კგ		
Cupboard Dry	1200 ბრ/წთ / 40%	66 წთ.	0,68 კვტ/სთ
	800 ბრ/წთ / 50%	80 წთ.	0,85 კვტ/სთ

1) ნაწილობრივი დატვირთვების შემთხვევაში, ციკლის დრო უფრო მოკლეა და მოწყობილობა ნაკლებ ენერგიას მოიხმარს.

2) გარემოს არასწორმა ტემპერატურამ და/ან არასწორად ცენტრიფუგირებულმა სარეცხმა, შესაძლოა, გაახანგრძლივოს ციკლი და გაზარდოს ენერგიის მოხმარება.

14. პროდუქტის საინფორმაციო ფურცელი E.U. 1369/2017 რეგულაციასთან შესაბამისად

პროდუქტის საინფორმაციო ფურცელი	
სავაჭრო ნიშანი	Electrolux
მოდელი	EW6D283YJE PNC916900714
ნომინალური მოცულობა კგ-ში	8
ჰაერით ვენტილირებადი ან კონდენსატორი დოლურა საშრობი	კონდენსატორი
ენერგო ეფექტური კლასი	A++
ენერგიის მოხმარება კვ/სთ წლიურად, 160 შრობის ციკლზე დაყრდნობით სტანდარტული ბამბის პროგრამისას სრული ან ნაწილობრივი დატვირთვით, და დაბალი სიმძლავრით მუშაობისას მოხმარება. მიმდინარე ენერგიის მოხმარება ციკლისას დამოკიდებულია დანადგარის გამოყენებაზე.	234,7
ავტომატური დოლურა საშრობი ან არა-ავტომატური დოლურა საშრობი	ავტომატური
ენერგიის მოხმარება სტანდარტული ბამბის პროგრამისას სრული დატვირთვისას კვ/სთ-ში	1,93
ენერგიის მოხმარება სტანდარტული ბამბის პროგრამისას ნაწილობრივი დატვირთვისას კვ/სთ-ში	1,08
დენის მოხმარება გამორთულ მდგომარეობაში ვტ-ში	0,50
დენის მოხმარება ჩართულად დატოვებულ მდგომარეობაში ვტ-ში	0,50
ხანრძლივობა დარჩენილ რეჟიმში ოპერირებისას წუთებში	10
„სტანდარტული ბამბის პროგრამა" გამოყენებული სრული ან ნაწილობრივი დატვირთვისას წარმოადგენს სტანდარტულ შრობის პროგრამას, რომლის ინფორმაციას ეტიკეტზე არის განთავსებული, აღნიშნული პროგრამა განკუთვნილია ნორმალურად სველი ბამბის სარეცხის საშრობად და განსაკუთრებით ეფექტური პროგრამაა ენერგიის მოხმარების თვალსაზრისით ბამბისათვის.	
განსაზღვრული პროგრამის დრო „სტანდარტული ბამბის პროგრამა სრული და ნაწილობრივი დატვირთვისას" წუთებში	136
პროგრამის დრო „სტანდარტული ბამბის პროგრამა სრული დატვირთვისას" წუთებში	178
პროგრამის დრო „სტანდარტული ბამბის პროგრამა ნაწილობრივი დატვირთვისას" წუთბში	104
კონდენსაციის ეფექტურობის კლასი სკალაზე G (ნაკლებ ეფექტური)-დან A (მეტად ეფექტური)-მდე	B
საშუალო კონდენსაციის ეფექტურობა სტანდარტული ბამბის პროგრამისას სრული დატვირთვის დროს, როგორც პროცენტულობა	81
საშუალო კონდენსაციის ეფექტურობა სტანდარტული ბამბის პროგრამისას ნაწილობრივი დატვირთვის დროს, როგორც პროცენტულობა	81
განსაზღვრული კონდენსაციის ეფექტურობა „სტანდარტული ბამბის პროგრამისათვის სრული ან ნაწილობრივი დატვირთვისას"	81

ხმის სიმძლავრის დონე დბ-ში	66
ჩაშენებული დანადგარი დ/ა	არა

ზემოთ მოცემულ დიაგრამაში წარმოდგენილი ინფორმაცია შეესაბამება ევრო კომისიის რეგულაციას 392/2012, რომელიც ახორციელებს 2009/125/EC დირექტივას.

15. გარემოსდაცვითი საკითხები

საჭიროა მასალების გადამუშავება, თუ

პროდუქტზე გამოსახულია სიმბოლო ♲. გადამუშავებისთვის შესაფუთი მასალა მოათავსეთ შესაბამის კონტეინერში. დაგვეხმარეთ გარემოს და ადამიანის ჯანმრთელობის დაცვაში ელექტრული და ელექტრონული მოწყობილობების ნარჩენების გადამუშავებით.

მოწყობილობა, რომელზეც გამოსახულია

სიმბოლო 🗑 არ უნდა გადააგდოთ საყოფაცხოვრებო ნარჩენებთან ერთად. დააბრუნეთ პროდუქტი თქვენს ადგილობრივ გადასამუშავებელ ობიექტში ან დაუკავშირდით თქვენს მუნიციპალურ სამსახურს.

Ласкаво просимо до Electrolux! Дякуємо, що обрали наш прилад.

Ми прагнемо збереження довкілля, скорочуючи паперові документи та забезпечуючи доступ до повних інструкцій з експлуатації онлайн. Отримайте доступ до повної версії інструкції з експлуатації на **electrolux.com/manuals**

Отримуйте поради з використання, брошури, інструкції з усунення несправностей, інформацію щодо сервісу та ремонту на **electrolux.com/support**

Купуйте аксесуари, витратні матеріали й оригінальні запчастини для вашого приладу на **electrolux.com/shop**

Може змінитися без оповіщення.

ЗМІСТ

1. ІНФОРМАЦІЯ ЩОДО БЕЗПЕКИ..... 58
2. ІНСТРУКЦІЇ З ТЕХНІКИ БЕЗПЕКИ.....62
3. ОПИС ВИРОБУ.....65
4. ПАНЕЛЬ КЕРУВАННЯ.....66
5. ТАБЛИЦЯ ПРОГРАМ..... 68
6. ОПЦІЇ..... 69
7. НАЛАШТУВАННЯ.....71
8. ПЕРЕД ПЕРШИМ ВИКОРИСТАННЯМ.....73
9. ЩОДЕННЕ КОРИСТУВАННЯ..... 74
10. ПОРАДИ ТА РЕКОМЕНДАЦІЇ..... 76
11. ДОГЛЯД ТА ОЧИЩЕННЯ.....77
12. УСУНЕННЯ НЕСПРАВНОСТЕЙ.....81
13. ТЕХНІЧНІ ДАНІ..... 83
14. ІНФОРМАЦІЙНИЙ ЛИСТОК ВИРОБУ ВІДПОВІДНО ДО ПОЛОЖЕННЯ ЄС 1369/2017..... 84
15. ОХОРОНА ДОВКІЛЛЯ.....86

1. ⚠ ІНФОРМАЦІЯ ЩОДО БЕЗПЕКИ

Перед встановленням та експлуатацією цього приладу слід уважно прочитати надані інструкції. Виробник не несе відповідальності за травми чи збитки, спричинені неправильним установленням або використанням. Завжди зберігайте інструкції в безпечному та доступному місці для подальшого використання та завантажуйте повну версію, доступну онлайн.

Попередження: Небезпека пожежі / Легкозаймисті матеріали.
У приладі міститься пропан (R290) — легкозаймистий газ із мінімальним рівнем впливу на довкілля. Прилад повинен знаходитися подалі від джерел вогню та запалювання. Стежте за тим, щоб не пошкодити контур циркуляції холодоагенту, що містить пропан.

1.1 Безпека дітей і вразливих осіб

ПОПЕРЕДЖЕННЯ!

Існує ризик задушення, травмування або стійкої непрацездатності.

- Діти від 8 років та особи з обмеженими фізичними, сенсорними або психічними можливостями чи недостатнім досвідом і знаннями можуть користуватися цим приладом лише під наглядом, або за умови попереднього отримання інструкцій з безпечного користування приладом та розуміння пов’язаних з цим ризиків. Діти до 8 років та особи з важкою та комплексною непрацездатністю можуть перебувати поблизу приладу лише за умови, якщо знаходяться під безперервним спостереженням.
- Не дозволяйте дітям бавитися з приладом.
- Тримайте усі пакувальні матеріали подалі від дітей та утилізуйте їх належним чином.
- Тримайте мийні засоби в недоступному для дітей місці.
- Не дозволяйте дітям та домашнім тваринам знаходитися поблизу приладу при відчинених дверцятах.
- Якщо прилад оснащено засобами захисту від доступу дітей, їх необхідно активувати.
- Чищення або обслуговування приладу дітьми дозволяється лише під наглядом.

1.2 Загальна безпека

- Цей прилад призначений для сушіння лише домашніх речей, які придатні до машинного сушіння.
- Не використовуйте функцію сушіння, якщо білизна забруднена промисловими хімічними речовинами.
- Цей прилад призначений для використання в домашніх умовах у приміщенні.
- Цей прилад можна використовувати в офісах, готельних номерах, напівготелях, приміщеннях для фермерського туризму та інших подібних приміщеннях, де застосування цього приладу не перевищує (середній) рівень побутового користування.
- Не змінюйте технічні специфікації цього приладу.
- Якщо сушильну машину встановлено поверх пральної машини, використовуйте комплект для вертикального монтажу. Комплект для вертикального монтажу (запитуйте в авторизованих магазинах) можна використовувати тільки із пристроєм, вказаним у доданій інструкції. Уважно прочитайте перед встановленням (див. інструкцію з експлуатації набору).
